



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “დონაძე საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 74644/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 7 მარტი

საბოლოო განცხადება
07/06/2006

წინამდებარე
გადასინჯვას

გადაწყვეტილება

შესაძლოა

დაექვემდებაროს

რედაქციულ

საქმეზე დონაძე საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიკრიბა პალატის სახით (მეორე სექცია), შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი უ.-პ. კოსტა, პრეზიდენტი,

ბ-ნი ა.ბ. ბაკა,

ბ-ნი ი. კაბრალ ბარეტო,

ბ-ნი რ. ტიურმენი,

ქ-ნი მ. უგრეხელიძე

ქ-ნი ა. მულარონი

ე. ფურა-სანდსტრომი, მოსამართლეები,

და ქ-ნი სალი დოლე სექციის განმწესრიგებელი

იმსჯელა რა 2005 წ. 24 მაისისა და 2006 წ. 14 თებერვლის პალატის სხდომებზე

2006 წ. 14 თებერვალს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს საქართველოს მოქალაქის ბ-ნი გივი დონაძის („მომჩივანი“) მიერ, 2000 წ. 12 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის („სასამართლო“) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№ 74644/01).

2. მომჩივანს, რომელსაც გაეწია სამართლებრივი დახმარება, 2004 წ. 12 ოქტომბრიდან წარმოადგენდა ქ-ნი რ. გაბოძე თბილისში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია – „სტრასბურგის ჯგუფის“ – ადვოკატი. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდნენ ბ-ნი ლ. ჭელიძე, სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელი, შემდგომში - ქალბატონები თ. ბურჯალიანი და ე. გურეშიძე, სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენლები, ხოლო 2005 წ. 1 სექტემბრიდან, საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა ბ-ნი ს. პაპუაშვილი სახელმწიფო წარმომადგენელი.

3. მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მან, ადმინისტრაციის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის განხილვისას, ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით.

4. საჩივარი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), სადაც რეგლამენტის 26-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად შეიქმნა პალატა, რომელსაც აღნიშნული საქმის განხილვა დაევალა (კონვენციის 27-ე მუხლის 1 პუნქტი).

5. 2004 წ. 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა, (რეგლამენტის 25 მუხლის § 1), რის შემდეგაც წინამდებარე საჩივარი განსახილველად გადაეცა რეორგანიზებულ მეორე სექციას (რეგლამენტის 52 მუხლის § 1).

6. 2005 წ. 24 მაისის გადაწყვეტილებით, პალატამ წინამდებარე საჩივარი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა.

7. მხარეებს საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ წერილობითი მიმოხილვა (რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

8. მომჩივანი, ბატონი გივი დონაძე, საქართველოს მოქალაქეა, დაბადებული 1923 წ., თბილისში.

9. მომჩივანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, 1962 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის („აკადემია“) კიბერნეტიკის ინსტიტუტში („ინსტიტუტი“). 1981-1991 წლებში ის მსახურობდა ოპტიკური კვლევის განყოფილებაში, რომელსაც ბატონი კ. ხელმძღვანელობდა. განმცხადებლის თქმით, თანამშრომელთა მიმართ ხელმძღვანელის დამოკიდებულება მუშაობას შეუძლებელს ხდიდა, (იხ. გადაწყვეტილება საჩივარის დაშვებადობის შესახებ), რის გამოც მომჩივანმა მოისურვა გადასვლა თავის ყოფილ სამსახურში – რობოტული ტექნიკის განყოფილებაში, რომელიც ინსტიტუტის ახალ შენობაში მდებარეობდა. 1991 წ. 21 ოქტომბერს, მისი თხოვნა დაკმაყოფილდა. თუმცა, არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულა იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივანს ახალ შენობაში ჰქონოდა სამუშაო ოთახი ან ლაბორატორია. მის თხოვნებს ამის თაობაზე შედეგი არ მოჰყოლია. ეს გრძელდებოდა დაახლოებით 7 წ. განმავლობაში (იხ. გადაწყვეტილება საჩივარის დაშვებადობის შესახებ). მხოლოდ 1998 წ. 28 მაისს გამოუყო დირექციამ მას ადგილი ახალ შენობაში, მაგრამ, მომჩივანმა ვერ მიიღო უფლება, განეთავსებინა იქ თავისი ძველი ლაბორატორიის აპარატურა. თუმცა, 1967–1971 წლებით დათარიღებული საინვენტარიზაციო ბარათებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული, ის იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ მოწყობილობაზე და შესაბამისად, ჰქონდა მისი ფლობის უფლება. დირექციამ მხოლოდ 2000 წელს აღიარა, რომ მომჩივანს ჰქონდა უფლება, გადაეტანა თავისი ძველი ლაბორატორია ახალ შენობაში.

მომჩივანმა სასამართლოს წარუდგინა ჯერ კიდევ 1987 წელს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული, დოკუმენტურად დასაბუთებული სტატია, სადაც აღწერილი იყო ინსტიტუტის დირექტორის მიერ ოპტიკური კვლევის განყოფილების თანამშრომელთა შევიწროვების ფაქტები. სტატია მოიცავდა თავად ინსტიტუტის დირექტორის ინტერვიუს და ადასტურებდა დაწესებულებაში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას.

10. განმცხადებლის თანახმად, სამუშაო პირობები რობოტული ტექნიკის განყოფილებაში უკეთესი არ იყო. 1996 წლიდან მოყოლებული, ეს სამსახური დირექციას წარუდგენდა სამეცნიერო პროექტებს, რომლებიც, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩევის შემთხვევაში, მისცემდა მათ ავტორებს შესაძლებლობას, ხელფასის გარდა მიეღოთ მნიშვნელოვანი დანამატი. საქმის გარემოებებიდან ჩანს, რომ რობოტული ტექნიკის განყოფილების მეცნიერების,

მათ შორის, განმცხადებლის მიერ წარდგენილი პროექტი ინსტიტუტის დირექტორის დონეზე დაიბლოკა და არ გადაეგზავნა აკადემიას შერჩევის პროცედურისათვის (იხ. გადაწყვეტილება საჩივარის დაშვებადობის შესახებ).

11. 1999 წ. 29 აპრილს, ინსტიტუტის დირექციამ გამოაქვეყნა იმ თანამშრომელთა სია, რომლებიც სამსახურიდან გათავისუფლებას ექვემდებარებოდნენ პერსონალის შემცირების გამო. ამ სიაში ფიგურირებდა მომჩივანიც, მაშინ, როდესაც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის (იხ. ქვემოთ) თანახმად, ის არ შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო თანამდებობიდან პერსონალის შემცირების მიზეზით. როგორც სამსახურიდან გათავისუფლების კანდიდატმა, დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, მომჩივანმა 1999 წ. მაისიდან ოქტომბრის თვემდე დაკარგა მისი ხარისხის შესაბამისი სახელფასო დანამატი. მომჩივანმა საჩივრით მიმართა აკადემიის პროფკავშირს, რომლის ჩარევამაც მას სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება ააცილა თავიდან. თუმცა, ჩამორთმეული სახელფასო დანამატი არ აუნაზღაურებია. საბუღალტრო ბარათებიდან და სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მომჩივანმა ვერ მიიღო კუთვნილი დანამატი მთელი 1996 წ. მანძილზე, ასევე 1998 წ. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. ამას გარდა, საბუღალტრო დოკუმენტაციაზე ხშირად არის მისი ხელმოწერა სხვადასხვა დანამატის მიღების დასტურად, მაგრამ რეალურად, მას არც ხელი მოუწერია ამ დოკუმენტებზე და არც აღნიშნული ფული მიუღია. მაგ. დანამატის ჩამორთმევა, რაც მოჰყვა 1999 წ. აპრილში მის შეყვანას გასათავისუფლებელ თანამშრომელთა სიაში, დამტკიცებულია ინსტიტუტის დირექტორის მიერ 1999 წ. 14 ივლისის დადგენილებით. თუმცა, საბუღალტრო დოკუმენტის თანახმად, რომელიც ადასტურებს სხვადასხვა სახის გასამრჯელოს მიღებას, მომჩივანმა თითქოს მიიღო ეს დანამატი. ამასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საჩივრის განხილვის შემდეგ, 1998 წ. 12 ნოემბრის წერილით, მეცნიერებათა აკადემიის საბჭომ დაადასტურა, რომ 1998 წ. მარტის შემდგომ, მომჩივანს არ მიუღია სადავო დანამატი შიდა განაწესის შეუსრულებლობის გამო. საბჭომ მოუწოდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას განეხილა განმცხადებლისათვის დანამატის აღდგენის საკითხი.

12. 1999 წ. 8 ოქტომბერს, მომჩივანმა კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის წინააღმდეგ არამართლზომიერი მოქმედების შედეგად მიყენებული მორალური და მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელი შეიტანა, სადაც ის აღნიშნავდა, რომ 80-იან წლებში ინსტიტუტის სათავეში ბატონი გ.-ს მოსვლის შემდეგ, დირექცია მას პირდაპირ დევნიდა და აგდებულად, უპატივცემულოდ ექცეოდა, რომ მას ამ პირობებში მუშაობის გაგრძელება არ შეეძლო, რომ 1991 წლიდან 1998 წლამდე მას არ გააჩნდა ადგილი თავისი ლაბორატორიის განსათავსებლად და ექსპერიმენტების ჩასატარებლად, რომ სახელფასო დანამატები, რაც მას უნდა მიეღო სხვადასხვა დროს, არ აუნაზღაურდა. მომჩივანი ხაზს უსვამს, რომ ამ თანხებს, უკიდურესი სიმცირის მიუხედავად, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ხელფასსა და მეორე მსოფლიო ომის II ჯგუფის ინვალიდის პენსიასთან ერთად, ეს დანამატი მას საშუალებას მისცემდა დაეკმაყოფილებინა ავადმყოფი მეუღლისა და სტუდენტი ქალიშვილის ელემენტარული მოთხოვნილებები. ამას გარდა,

მომჩივანი აზუსტებს, რომ „ტექნიკური აღჭურვილობა“, რომლითაც, დირექტორის განცხადებით, მას დაუბრკოლებლად შეეძლო ესარგებლა თავის ახალ განყოფილებაში, არ წარმოადგენდა იმ ინვენტარს, რომელიც მას თავისი შრომითი საქმიანობის დროს სჭირდებოდა. მხოლოდ მის ძველ ლაბორატორიაში განთავსებული სპეციალური აპარატურა იყო მისთვის გამოსადეგი. მომჩივანი საქმეს ურთავს დიდი რაოდენობით მტკიცებულებებს. ის მოწმედ ასახელებს კოლეგებს.

13. მოწინააღმდეგე მხარემ მოითხოვა განმცხადებლის პრეტენზიების დაუსაბუთებლად მიჩნევა იმის გამო, რომ მან არ დააზუსტა, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა დირექტორის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. მოწინააღმდეგე მხარე აღნიშნავს, რომ მომჩივანი ყოველთვის ფლობდა კაბინეტს მუშაობისათვის, რომ ადგილი არ ჰქონია მისი უკანონოდ „ქუჩაში გაგდების“ მცდელობებს, რომ 1997 წ. 1 იანვარს მომჩივანმა მიიღო ხელფასის თვიური დანამატი, რომ იგი არასოდეს ყოფილა პასუხისმგებელი სადავო ინვენტარზე და, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობისათვის მიმართვა, მას შესაძლებლობას მისცემდა ნებისმიერი ტიპის ტექნიკური აღჭურვილობით დაუბრკოლებლად ესარგებლა.

14. 2000 წ. 20 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი მოტივით: რომ მან არ დააზუსტა, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ინსტიტუტის დირექტორის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რომ მოცემულ მომენტში მას ჰქონდა სამუშაო ოთახი, რომლის გასაღებსაც თავად ფლობდა; რომ 1997 წ. 1 იანვარს მან მიიღო იმავე ოდენობის დანამატი, რაც მისი ხარისხის ყველა სხვა მეცნიერ-მუშაკებმა მიიღეს, რომ ის არასოდეს ყოფილა პასუხისმგებელი სადავო აღჭურვილობაზე და რომ მოსარჩელეს შეეძლო ესარგებლა ტექნიკური აღჭურვილობით თუკი იგი ამის შესახებ შიდა განაწესის შესაბამისად ინსტიტუტის დირექციას მიმართავდა. გადაწყვეტილებაში არ ჩანს, რომ სასამართლომ მოუსმინა მხარეთა მოწმეებს. დაკითხულნი იქნენ მხოლოდ თავად მხარეები.

15. მომჩივანმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საკმარისი დრო არ დაუთმო საქმის არსებით განხილვას, რომელიც ეხებოდა დირექტორის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს. მან მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო დააკმაყოფილა იმის მტკიცებით, რომ საქმის განხილვის მომენტში, 2000 წ. იანვარში, მას გააჩნდა სამუშაო ოთახი, მაშინ, როდესაც დავის საგანს წარმოადგენდა სადავო ოთახის არარსებობა 1991–1998 წლებში და იქ ლაბორატორიის მოწყობის შესაძლებლობის არქონა 1998-2000 წლებში, რამაც მას ხელი შეუშალა, შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობები. ამ არგუმენტის დამამტკიცებელი დოკუმენტების განხილვის გარეშე სასამართლომ დაასკვნა, რომ პროცესის მიმდინარეობის მომენტში, მომჩივანი სარგებლობდა სამუშაო ოთახით, რომლის გასაღებსაც თავად ფლობდა. მომჩივანმა გააპროტესტა ის ფაქტი, რომ მის მიერ მოწმედ დასახელებული რობოტული ტექნიკის

განყოფილების დირექტორი სასამართლოს დერეფანში იცდიდა, მაგრამ ის არ დაიკითხა.

16. ამას გარდა, მომჩივანმა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა საჩივარი 2000 წ. 20 იანვრის ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლის, ქალბატონი ნ.დ-ს, მიკერძოებული ქმედებების გამო, რომელმაც მომჩივანს გააწყვეტინა სასამართლოს წინაშე წარმოთქმული სიტყვა და უთხრა: „ეს ტექნიკური საქმეა, მე არ მესმის ... და კიდევ, დამღალა თქვენი მოხსენების კითხვამ ...“ პროცესის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში მომჩივანს, მისივე მტკიცებით, არ ჰქონია სიტყვით გამოსვლის საშუალება, მას ყოველ ჯერზე აწყვეტინებდნენ. სამაგიეროდ, მოპასუხე მხარეს დაუბრკოლებლად შეეძლო გაეპროტესტებინა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, რაც მისი აზრით გადამეტებული იყო. მომჩივანი ატყობინებს სასამართლოს, რომ საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გაგრძელდა მხოლოდ 40-დან 60 წუთამდე და რომ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად გამოიტანა მოსამართლემ, რომელმაც მოსმენა თავის კაბინეტში გამართა. ღუმელის წინ მჯდომმა მოსამართლემ, რომელიც ხელებს ითბობდა, მომჩივანს უთხრა: „კი, მაგრამ თქვი, რამდენი გინდა. გარწმუნებ, გადაგიხდის და დავამთავროთ ეს საქმე.“ მომჩივანმა არაფერი უპასუხა, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ ზიანის ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრამდე, საჭირო იყო საქმის არსებით მხარეზე მისი არგუმენტების განხილვა. სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ მოსამართლე გავიდა სათათბირო ოთახში 17.50 საათზე და დაბრუნდა გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად 18 საათზე.

17. 2000 წ. 5 აპრილის ვრცელ დამატებით საჩივარში, რომელზეც იყო კანცელარიის თანამშრომლის აღნიშვნა „მიღებულია“. მომჩივანი მოუწოდებდა სააპელაციო სასამართლოს, მხედველობაში მიეღო შემდეგი ფაქტები: ძველი ლაბორატორია, რომელიც მას უნდა დაეცალა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა სანაცვლოდ ახალი სამუშაო ადგილი, გაღებულ იქნა ინსტიტუტის თანამშრომლის მიერ დირექტორის ბრძანებით, გატეხილ იქნა ძვირფასი მასალების შემცველი უჯრები, რომლებიც დაღუპული იყო თავად მის მიერ, მოპარული იქნა საინვენტარიზაციო დოკუმენტები, რომლებშიც მომჩივანი მოხსენიებული იყო, როგორც აღნიშნულ აპარატურაზე პასუხისმგებელი, ლაბორატორიიდან გაქრა ზოგიერთი მოწყობილობა. მომჩივანმა წარმოდგენილ დოკუმენტებს დაურთო მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ ათეულობით წლების განმავლობაში ის იყო მატერიალურად პასუხისმგებელი იმ დანადგარებზე, რომელსაც იგი ინსტიტუტში მუშაობისას იყენებდა. ეს დამატებითი საჩივარი დაკარგულ იქნა სააპელაციო სასამართლოში და შესაბამისად, არ გამხდარა განხილვის საგანი.

18. მოსმენის დროს, მოწინააღმდეგე მხარემ დაადასტურა, რომ 1998 წ. მაისში, მომჩივანი გადაყვანილი იქნა რობოტული ტექნიკის განყოფილებაში და რომ აღჭურვილობა გადატანილი იქნა 2000 წელს.

19. 2000 წ. 19 აპრილის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2000 წ. 20 იანვრის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ პროცესზე განმცხადებლის „ჩვენების შესაბამისად“, მას ჰქონდა სამუშაო ადგილი და რომ მომჩივანი „არ უარყოფდა ფაქტს“, რომ იღებდა

ხელფასს და შესაბამის დანამატს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი არ გამხდარა ინსტიტუტის დირექტორის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ობიექტი და რომ, შესაბამისად, მას არ მიაღვა არავითარი მატერიალური და მორალური ზიანი. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში არ ფიგურირებდა არავითარი შიდა დოკუმენტი, რომელშიც მომჩივანი დასახელებული იქნებოდა იმ დანადგარებზე პასუხისმგებლად, რომელსაც ძველ ლაბორატორიაში ფლობდა. საქმის განხილვისას, მოსამართლე ტ.-ს-მ ჰკითხა მომჩივანს: „*არ დაიღალეთ ყველა ინსტანციაში ჩვილით, დაწყნარდით და მოისვენეთ ბოლოს და ბოლოს!*“.

20. მომჩივანმა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი შეიტანა. მან საჩივარა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი განცხადებები იყო მცდარი. მან ხაზი გაუსვა, რომ დავის საგანი ძირითადად ეხებოდა ორ საკითხს: 1991-98 წლებში სამუშაო ოთახის არქონას და კუთვნილი ხელფასის, ასევე სხვადასხვა სახის დანამატების მიღების შეუძლებლობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ განმცხადებლის „*ჩვენების შესაბამისად*“ „*იგი სარგებლობდა სამუშაო ოთახით*“, მხოლოდ სიცრუეა სადავო პერიოდთან მიმართებით. მომჩივანმა მიუთითა, რომ მას არ შეეძლო ემტკიცებინა, რომ ფლობდა სამუშაო ოთახს, მაშინ, როდესაც მან უჩივლა ინსტიტუტის ადმინისტრაციას სწორედ აღნიშნული სამუშაო ოთახის უქონლობის გამო. ამდენად, სააპელაციო ინსტანციამ მას მიაწერა სიტყვები, რომლებიც მომჩივანს არ წარმოუთქვამს. ბ-ნმა დონაქემ ასევე ამხილა სააპელაციო განაჩენის იმ ნაწილის მცდარი ხასიათი, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი „*არ უარყოფდა დანამატების მიღებას*“. მან ახსნა, რომ არ შეეძლო ეთქვა ასეთი სიტყვები, ვინაიდან ის ჩიოდა სწორედ ამ დანამატების მიუღებლობის გამო განვლილი სხვადასხვა პერიოდის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ ეს დანამატი ისევ ჩამოერთვა 2000 წელს. ბოლოს მომჩივანმა უზენაესი სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თავის გადაწყვეტილებაში, სააპელაციო სასამართლო მას ამტკიცებინებდა იმას, რასაც იგი უარყოფდა ყველა თავის საჩივარში. მისი აზრით, ეს იყო ყველაზე მარტივი ხერხი იმისათვის, რომ უსაგნო გაეხადათ მისი მოთხოვნები და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად გამოეცხადებინათ ისინი. მან ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ის პასუხისმგებელი იყო სადავო ინვენტარზე ათეულობით წლების განმავლობაში. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის დამატებითი საჩივარი დაიკარგა, სააპელაციო სასამართლომ გამოტანა მცდარი დასკვნა, რომ იგი არასოდეს ყოფილა სადავო ინვენტარზე პასუხისმგებელი.

21. 2006 წ. 26 ივლისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ საქმის არსებითად განმხილველმა სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს კანონი არაქონებრივი ზიანის საკითხთან დაკავშირებით, რომ ის უფლებები, რომელთა ბოროტად გამოყენებაც იქნა აღნიშნული წარმოადგენდნენ არა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ „სამოქალაქო“ უფლებებს, არამედ განეკუთვნებოდნენ „შრომით“ ურთიერთობათა სფეროს და მათ მიმართ არ გამოიყენებოდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი. უზენაესმა სასამართლომ უპასუხოდ დატოვა განმცხადებლის საკასაციო არგუმენტი მისი დამატებითი

განმარტების განუხილველობასთან დაკავშირებით. მომჩივანი აღნიშნავს, რომ საკასაციო მოსმენა გაგრძელდა ათიდან თხუთმეტ წუთამდე.

22. მომჩივანმა მიმართა იუსტიციის საბჭოს, დისციპლინარულ ორგანოს და მიუთითა, რომ მისი საქმე არ იქნა განხილული მთლიანობაში არც პირველი ინსტანციის, არც სააპელაციო სასამართლოების მიერ. 2000 წ. 2 აგვისტოს, მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

23. სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 115

„სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“.

მუხლი 411

„ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლებისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“.

მუხლი 413§1

„არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და სამართლიანი ანაზღაურების სახით“.

24. 1995 წ. 17 ოქტომბრის კანონი *„ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“*

მუხლი 1 9§ 1

(...) სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელებს ევალებათ (...) მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების დროს მათი სამუშაოზე დატოვების უპირატესი უფლების უპრუნველყოფა."

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

25. მომჩივანი თვლის, რომ იგი გახდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მრავალჯერადი დარღვევის მსხვერპლი ამ მუხლის თანახმად,

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას (...) ყველას აქვს საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის სასფუძველზე შექმნილი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ“.

ა. მხარეთა თანასწორობის პრინციპი და განმცხადებლის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა მოტივაცია. ა) მხარეთა არგუმენტები

26. მომჩივანი ირწმუნება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მხარეთა შორის ადგილი არ ჰქონია შეჯიბრებლობის პრინციპი საფუძველზე გამართულ მნიშვნელოვან სასამართლო პაექრობას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და რომ იგი, მოპასუხე მხარესთან შედარებით, არ ჩააყენეს თანაბარ პირობებში. კერძოდ, იმის ნაცვლად, რომ შეეფასებინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაბუთებულობა, ქალბატონი მოსამართლე მოწინააღმდეგე მხარეს ესაუბრებოდა მხოლოდ იმაზე, გონივრული იყო თუ არა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა. ბ-ნი დონაძე ამტკიცებს, რომ წარადგინა რა მრავალი დოკუმენტი და მტკიცებულება, მოსამართლე, თავის ორგვერდიან გადაწყვეტილებაში შემოიფარგლა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის ჩვენებების სიტყვა-სიტყვითი გამეორებით. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, განმცხადებლის პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულმა ინსტანციამ მას მიაწერა ის სიტყვები, რაც აპელანტს არასოდეს უთქვამს და რითაც სრულად უგულვებლყო დავის საგანი. მომჩივანი აღნიშნული ინსტანციის სასამართლოსთან მიმართებით ასევე აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო სასამართლოში გაიბნა მის მიერ წარმოდგენილი დამატებითი სააპელაციო საჩივარი, სადაც დასაბუთებული იყო, რომ იგი პასუხს აგებდა ლაბორატორიის აღჭურვილობაზე. ვერ შეძლო რა განეხილა აღნიშნული დამატებითი საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ იგი პასუხისმგებელი იყო სადავო აღჭურვილობაზე. ამას გარდა, ამ სასამართლო ორგანომ მცდარად დაადგინა, რომ მომჩივანი „არ უარყოფდა, რომ იგი ღებულობდა ხელფასის დანამატს“, მაშინ, როდესაც იგი თავის საჩივარში გასული წლების სხვადასხვა პერიოდებში სწორედ დანამატის გადახდის შეწყვეტას აპროტესტებდა. სასამართლომ ასევე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა არსებობებისას განმცხადებლის „ჩვენების“ შესაბამისად, იგი ფლობდა სადავო სამუშაო ოთახს. სინამდვილეში კი მომჩივანი დაობდა სწორედ ასეთი ადგილის უქონლობის გამო 1991 და 1998 წლებში. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციას, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე საქმის ზეპირმა მოსმენამ ვერ უზრუნველყო სამართლიანი სასამართლო განხილვა მეტისმეტად ხანმოკლე პერიოდის გამო.

27. მთავრობა თვლის, რომ მოცემულ საქმეში არ დარღვეულა მხარეთა თანასწორობის პრინციპი. კერძოდ, სასამართლო სხდომების ოქმებიდან დაფიქსირებულია განმცხადებლის განმარტებები სარჩელთან დაკავშირებით

პასუხები დასმულ შეკითხვებზე, მას მონაწილეობა აქვს მიღებული მხარეთა პაექრობაში და ისარგებლა რეპლიკის უფლებით. პოზიციის დასასაბუთებლად მთავრობას არ წარმოუდგენია აღნიშნული ოქმები და არც არავითარი სხვა დოკუმენტი. მისი აზრით, მომჩივანმა შიდა სასამართლოებს წაუყენა ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები, რომლებიც არ შეესაბამებოდა რეალობას. კერძოდ, მან საჩივარა, რომ არ ჰქონდა სამუშაო პირობები მაშინ, როდესაც იგი ფლობდა კაბინეტს ინსტიტუტის ახალ შენობაში. მან გააპროტესტა, რომ ვერ ღებულობდა დანამატებს მაშინ, როდესაც სინამდვილეში ეს დანამატები გაიცა და მას არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა სხვა რაიმე განსაკუთრებული დანამატი. მთავრობის აზრით, მთლიანობაში მომჩივანს არ წარმოუდგენია კონკრეტული მტკიცებულებები თავისი ზოგადი ხასიათის ჩვენებების დასასაბუთებლად.

რაც შეეხება საქმის შიდა სასამართლო ორგანოების მიერ შეფასებას, მთავრობა მიუთითებს, რომ ევროპული სასამართლოს კომპეტენციას სცდება ფაქტების საკუთარი შეფასების შესაბამისად შეცვლა. არდა ამისა, უსვამს რა ხაზს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი უფრო მომთხოვნიან სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით, ვიდრე სამოქალაქო ხასიათის უფლებებთან დაკავშირებული დავების მიმართ, იგი თვლის, რომ განმცხადებლის მოთხოვნები უსაფუძვლოა.

28. ამავე დროს, იმის დაშვებითაც კი, რომ საქმის მოსმენა საკასაციო სასამართლოში გაგრძელდა მხოლოდ 15 წუთს, მთავრობის აზრით, ასეთი ხანგრძლივობა შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო. საქმის შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით, მთავრობა თვლის, რომ საქმე შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო წერილობითი პროცედურის ფარგლებში, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 408§3).

29. მომჩივანი ეწინააღმდეგება მთავრობის მიერ წამოყენებულ არგუმენტაციას. იგი თვლის, რომ მთავრობა ცდილობს, ბუნდოვანი გახადოს ფაქტები და იძლევა ორჭოფულ პასუხებს. იგი მიუთითებს, რომ მისი საჩივარი სამუშაო პირობებთან დაკავშირებით არ უარყოფდა, რომ მას ჰქონდა სამუშაო კაბინეტი ინსტიტუტის ახალ შენობაში. იგი აპროტესტებდა იმას, რომ წლების განმავლობაში მოპასუხე არ აძლევდა მას ძველ ლაბორატორიაში შესვლის საშუალებას და დაბრკოლებას უქმნიდა აღჭურვილობის განთავსებას ახალ სამუშაო ადგილას. ასეთ ქმედებებთან ერთად, ადმინისტრაცია საყვედურობდა, რომ იგი ჯეროვნად არ ასრულებდა სამუშაოს და მოგვიანებით შეიყვანა გასათავისუფლებელ თანამშრომელთა სიაში.

ბ) სასამართლოს შეფასება

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მისი მიზანია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიმართ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. შიდა სამართლებრივი

ნორმების განმარტება და გამოყენება პირველ რიგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, კერძოდ, სასამართლოების მოვალეობაა (იხ. სხვებთან ერთად, *Rotaru c. Roumanie* [GC], n° 28341/95, § 53, CEDH 2000-V; *Kopp c. Suisse*, arrêt du 25 mars 1998, *Recueil des arrêts et décisions* 1998-II, § 59). ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლო ორგანომ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება; მისი ამოცანაა მხოლოდ შიდა სამართლის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაიქცეოდა მესამე ან მეოთხე ინსტანციის სასამართლოდ და გასცდებოდა თავისი მოვალეობის ფარგლებს (*Contal c. France* (déc.), n° 67603/01, 3 septembre 2000). სასამართლოს ერთადერთ ფუნქციას კონვენციის მე-6 მუხლის კუთხით წარმოადგენს იმ განცხადების განხილვა, სადაც აღნიშნულია, რომ შიდა სასამართლო ორგანოებმა არ დაიცვეს ამ დებულებაში მოცემული სპეციფიკური პროცედურული გარანტიები ან მთლიანობაში, პროცედურის წარმართვამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლისათვის სამართლიანი სასამართლო განხილვა. (*Sarkisova c. Géorgie* (déc.), n° 73239/01, 6 septembre 2005).

31. განმცხადებლის პრეტენზიებისა (იხ. §26 ზემოთ) და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მას არ შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება არც იმ საკითხთან დაკავშირებით, შიდა სასამართლო ორგანოებმა სწორად შეაფასეს თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, და შესაბამისად, სწორად გამოიყენეს თუ არა კანონი. ევროპული სასამართლოს კომპეტენციას სცდება აგრეთვე შიდა სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნების დასაბუთებულობის განხილვას. სასამართლოს ამოცანაა, გაარკვიოს, განმცხადებლის პოზიციასთან მიმართებით შიდა სასამართლო ორგანოებმა ხომ არ იხელმძღვანელებს განმცხადებლის პოზიციასთან დაკავშირებული, აშკარად დაუზუსტებელი დასკვნებით. (*Fouquet c. France*, n° 20398/92, Rapport de la Commission du 12 octobre 1994, *Recueil* 1996-I, §§ 35-38 ; *Dulaurans c. France*, n° 34553/97, § 33, 21 mars 2000). იქიდან გამომდინარე, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შიდა სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აწარმოოს მხარეთა მტკიცებულებების, არგუმენტების ეფექტიანი განხილვა, იმისათვის, რომ შეაფასოს მათი მოთხოვნების შესაბამისობა გამოსატან გადაწყვეტილებასთან (*Kraska c. Suisse*, arrêt du 19 avril 1993, série A n° 254-B, p. 49, § 30 ; *Van de Hurk c. Pays-Bas*, arrêt du 19 avril 1994, série A n° 288, p. 19, § 59), სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა შეასრულეს ეფექტიანი განხილვის ზემოხსენებული პირობა (*mutatis mutandis*, *Goktepe c. Belgique*, n° 50372/99, §25, 2 juin 2005) და არ წასულან, აშკარად, როგორც ამას მომჩივანი ამტკიცებს, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინააღმდეგ, რითაც მოპასუხე მხარე აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენეს (*Dombo Beheer B.V. c. Pays-Bas*, arrêt du 27 octobre 1993, série A n° 274, p. 19, § 33).

ამასთან დაკავშირებით მართებულია იმის შესხენება, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის თანახმად, რომელიც სამართლიანი სასამართლო განხილვის ფართო ცნების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, სასამართლოები ვალდებული არიან, დაიცვან სრული თანასწორობა მხარეებს შორის. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებენ მას აშკარად არახელსაყრელ

მდგომარეობაში მოპასუხე მხარესთან შედარებით. (*APEH Üldözötteinek Szövetsége et autres c. Hongrie*, n° 32367/96, § 39, CEDH 2000-X).

32. საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ, სასამართლო ასკვნის, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სარჩელზე უარის შესახებ თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მოპასუხე მხარის ჩვენებებს (იხ. §15). მასში არ ჩანს, რომ განმცხადებლის არგუმენტები გულდასმით იქნა განხილული. სხვადასხვა ფაქტებისა და თარიღების არევით სასამართლო ორგანოებმა მომჩივანს ზოგჯერ მიაწერეს ისეთი გამონათქვამები, რომლებიც სრულიად საპირისპიროა იმისა, რაც მის საჩივრებშია მოტანილი. (§§ 12, 14, 15 და 19). ამასთან სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დაწყებისთანავე, მომჩივანმა სასამართლოს ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ მისი სარჩელი პირველ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა იმ მოტივაციით, რომელსაც დავის საგანთან (§§ 15 და 29) კავშირი არ ჰქონია. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველმა არც ერთმა სასამართლო ინსტანციამ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ მომჩივანს, 1991 და 1998 წლებში არ ეძლეოდა საშუალება, ჰქონოდა სამუშაო ოთახი ინსტიტუტის ახალ შენობაში; მოკლებული იყო იქ თავისი ლაბორატორიის განთავსების შესაძლებლობას, რომ იგი 1999 წ. „ომის ვეტერანთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის აშკარა დარღვევით შეიყვანილ იქნა პერსონალის შემცირების გამო გასათავისუფლებელ თანამშრომელთა სიაში და რომ ამას თან მოჰყვა იმ სახელფასო დანამატის ჩამორთმევა, რომელსაც იგი 1996 წლიდან იღებდა. მომჩივანმა თავისი პრეტენზიების დასასაბუთებლად მრავალრიცხოვანი დოკუმენტაცია წარმოადგინა. პასუხად, ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ მომჩივანი სახელფასო დანამატს 1997 წლიდან იღებდა, ხოლო 1998 წლიდან ჰქონდა საკუთარი კაბინეტი ინსტიტუტის ახალ შენობაში. ამრიგად, განმცხადებლის პრეტენზიები, იმ სახით, როგორცაც მან წარმოადგინა სამივე ინსტანციის წინაშე, (შედრ. ზემოთ მოცემული §§ 12 და 15) ზემოხსენებულ ფაქტებს საერთოდ არ უკავშირდებოდა. ამრიგად, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოების არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ეფუძნებოდა ფაქტებს, რომლებსაც მომჩივანი თავის საჩივრებში არც გამოხატა და არც აპროტესტებდა და, რომლებიც დავის საგანთან შემხებლობაში არ იყო. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ მოყვანილ არგუმენტებს, მიღებული გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, რომ ისინი მოსმენილი იქნა ანუ სათანადოდ იქნა განხილული სასამართლო ორგანოების მიერ. მომჩივანი მთელი ხანგრძლივი შიდა სასამართლო პროცესების წარმოებისას თავად ახორციელებდა დაცვის ფუნქციას. სასამართლოს წინაშე წარმოსათქმელი სიტყვა სამართლებრივად კარგად არ იყო გამართული, მაგრამ მისი პრეტენზიები ნათლად იყო ჩამოყალიბებული და საკმარისად დასაბუთებული დოკუმენტებით ისე, რომ სასამართლოებს თავისუფლად უნდა შეძლებოდათ მათ წინაშე წარდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნების გამოკვეთა.

33. ამას გარდა, ეროვნული სასამართლოების მიერ, არ იქნა დადგენილი, რომ მომჩივანი მოკლებული იყო ნორმალურ სამუშაო პირობებს. თუმცა, საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს, თავად ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ 1998 წ. მაისში მომჩივანი გადაყვანილ იქნა რობოტული

ტექნიკის განყოფილებაში და მხოლოდ 2000 წ. მიიღო თავისი ლაბორატორიის აღჭურვილობის გადატანის ნებართვა (§18). სადავო გადაწყვეტილებებიდან ასევე ირკვევა, რომ საქმის არსებითად განხილველმა სასამართლოებმა არ სცადეს გაერკვიათ სახელფასო დანამატების სხვადასხვა ტიპებს შორის განსხვავების საკითხი (დანამატი სამეცნიერო პროექტში მონაწილეობისათვის და დანამატი დაკავშირებული ხარისხთან), რომელთა მიღების უფლებასაც მომჩივანი, მისი პრეტენზიების თანახმად, სხვადასხვა პერიოდში ფლობდა. სასამართლოებს არც იმის გარკვევაზე უზრუნვიათ, რომ გაერკვიათ დანამატების გადაუხდელობის ან გაუქმების მიზეზები და შეეფასებინათ ამასთან დაკავშირებული აღმინისტრაციის ქმედებები.

34. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ვრცელი დამატებითი სააპელაციო საჩივარი გაიბნა იმ სააპელაციო სასამართლოში (§17), რომლის მოსამართლეს საყვედურობდა აპელანტს მისი ჩვენებების დამადასტურებელი საბუთების არქონის გამო მაშინ, როდესაც ეს მტკიცებულებები ფიგურირებდა ხსენებულ დამატებით საჩივარში (§ 19 ზემოთ). უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც უნდა განეხილა საჩივარი ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ არგუმენტს თავის დადგენილებაში პასუხი არ გასცა (§§ 20 და 21). ამის თაობაზე მთავრობას მოსაზრება არ წარმოუდგენია.

35. ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ შიდა სასამართლო გადაწყვეტილებებში ფორმულირებული დასკვნები არ ადასტურებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განახორციელეს განმცხადებლის არგუმენტების ღრმა და სერიოზული განხილვა, რომ მათ თავიანთი მსჯელობა დააფუძნეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, როგორც მათ ეს გააკეთეს მოპასუხე მხარესთან მიმართებით და დაასაბუთოს განმცხადებლის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობა. იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოებს არა აქვთ შესაძლებლობა დაასაბუთონ მხარის თითოეულ არგუმენტზე უარის თქმის მოტივაცია, ისინი არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან ჯეროვნად განიხილონ და პასუხი გასცენ მათ მიერ წამოყენებულ ძირითად მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზების არსებობამ, როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის ვრცელი დამატებითი საჩივრის განუხილველობამ, მომჩივანი, მოპასუხე მხარესთან შედარებით, ჩააყენა აშკარად არახელსაყრელ პირობებში. მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიმოხილვას არ ჰქონდა თანდართული არავითარი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (§27), არ შეიცავდა მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა განსხვავებული დასკვნის გაკეთება. ფაქტობრივად ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ სადავო სასამართლო გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, ამან სასამართლოზე დამაჯერებლად ვერ იმოქმედა.

36. სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანმა შიდა სასამართლო ორგანოებში ვერ ისარგებლა ეფექტიანი სასამართლო განხილვით, შიდა ინსტანციებმა ვერ უზრუნველყვეს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული განმცხადებლის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ამდენად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის დარღვევას.

2. პროცესის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებით

37. მომჩივანი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს მოსამართლეების უპატივცემულო და აგდებული დამოკიდებულებით, რომელთაც მასში მხოლოდ უნდობლობა და გაღიზიანება გამოიწვიეს (§§ 16 და 19). იგი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით ქნი ნ.დ.-ს ქცევაზე, რომელმაც განიხილა მისი საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

38. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებლის უფლება სამართლიან მართლმსაჯულებაზე არ დარღვეულა.

39. სასამართლო მიუთითებს, რომ პროცესის სამართლიანობის კონტექსტში, იგი მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს ფორმალურ მხარეს (*mutatis mutandis, Borgers c. Belgique*, arrêt du 30 octobre 1991, série A, n° 214-B, p. 31, § 24) და რომ დემოკრატიული ქვეყნის სასამართლოები ვალდებული არიან, ნდობა გამოიწვიონ პროცესის მონაწილეებში (*mutatis mutandis, Remli c. France*, arrêt du 23 avril 1996, *Recueil* 1996-II, § 48).

40. საქმეში მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მოსამართლეთა აგდებულმა მიმართებებმა, ისევე, როგორც ქნი ნ.დ.-ს შემაშფოთებელმა მოურიდებლობამ, შეარყია განმცხადებლის ნდობა სამართლიანი მართლმსაჯულებისადმი. ყველა ზემოთ მოყვანილი დარღვევის გათვალისწინებით (§§ 32-36), სასამართლო ზედმეტად თვლის იმ საკითხის განხილვას, მოსამართლეთა ქმედებებთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

41. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, და თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო საჭიროების შემთხვევაში ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას".

ა. ზიანი

42. მიყენებული მატერიალური ზიანის სანაცვლოდ მომჩივანი მოითხოვს 3.043 ევროს, ანუ იმ თანხის გადახდას, რომელსაც იგი მიიღებდა, მისი პროექტი შესარჩევად აკადემიის სამეცნიერო საბჭოში რომ გაგზავნილიყო (§ 10). ამასთანავე, იგი ითხოვს სხვადასხვა თანხებს, რომლებიც უკავშირდება მისი სარჩელის იმ ნაწილებს, რომლებიც 2005 წ. 24 მაისის გადაწყვეტილებით არ იქნა მიღებული განსახილველად (§6), ასევე მის ინვალიდობას. მორალური ზიანის სანაცვლოდ მომჩივანი ითხოვს 824 208 ევროს იმის საფუძველზე, რომ მან გამოიარა სილატაკე და ტანჯვა

43. მთავრობა თვლის, რომ განმცხადებლის პრეტენზია მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, ხოლო დანარჩენ ნაწილში,

დაინტერესებული პირი ვერ ამტკიცებს მიზეზობრივი კავშირის არსებობას დარღვევებსა და გადატანილ ტანჯვას შორის.

44. სასამართლო მიუთითებს თავის დამკვიდრებულ იურიდიულ პრაქტიკაზე. მის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევისათვის სამართლიანი დაკმაყოფილების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მომჩივანი, რამდენადაც შესაძლებელია, ჩაყენებული იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დარღვეული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები (*Cianetti c. Italie*, n° 55634/00, § 49, 22 avril 2004).

მოცემულ საქმეში, ერთადერთი საფუძველი სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭებისათვის მდგომარეობს იმაში, რომ განმცხადებლის პრეტენზიები სათანადოდ არ იქნა მოსმენილი ეროვნული სასამართლოების მიერ. სასამართლო, რასაკვირველია, ვერ შეძლებს სპეკულირებას იმით თუ როგორი იქნებოდა პროცედურის დასასრული სხვა შემთხვევაში, მაგრამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ის შესაძლებლად თვლის, რომ მომჩივანმა დაკარგა რეალური შანსები (cf., *mutatis mutandis*, *Dulaurans*, précité, §43). ამას ემატება აგრეთვე მორალური ზიანი, რომლის კომპენსაციისათვისაც წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული კონვენციის ფაქტის კონსტატაცია საკმარისი არ არის.

45. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, როგორც ამას მოითხოვს 41-ე მუხლი, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 3.500 ევროს მის მიერ მთლიანობაში განცდილი ზიანის ანაზღაურების მიზნით. აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

46. დანახარჯისა და სასამართლო ხარჯებისათვის მომჩივანი ითხოვს 1 016,70 ევროს; ეს თანხა ასე ნაწილდება: 700 ევრო ჰონორარის სახით მის წარმომადგენელს სასამართლოში და 316,70 ევრო სხვადასხვა დანახარჯების დასაფარად, რომლებიც მან გასწია საკუთარი თავის დასაცავად სასამართლოს წინაშე (საფოსტო გზავნილები, სასამართლოს დოკუმენტაციის თარგმანი, სატელეფონო ზარები და ა.შ.).

თავისი პირველი თხოვნის დასასაბუთებლად, მომჩივანმა წარმოადგინა 2004 წ. 12 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მან უნდა გადაუხადოს ბ-ნ გაბოძეს 700 ევრო სასამართლოში პროცედურის დამთავრებისთანავე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს მხოლოდ დაახლოებით 300 ევრო. სხვა დოკუმენტები წარმოადგენს ელექტრონული კვითრებს, რაც უკავშირდება საჩივრის იმ ნაწილს, რომელიც 2005 წ. 24 მაისის გადაწყვეტილებით არ იქნა მიღებული განსახილველად (§ 6).

47. მთავრობა თვლის, რომ მომჩივანი ვერ ასაბუთებს, რომ მან გადაიხადა ის დანახარჯი, რომლის კომპენსაციასაც ითხოვს.

48. სასამართლო მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც ხარჯების ანაზღაურებაზე გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ ზომით, თუ ისინი რეალურად და აუცილებლობის გამო იქნა გაწეული, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ან გამოსწორებულიყო ფაქტი, რომელიც მიხნეულ იქნა კონვენციის დარღვევის გამომწვევ მიზეზად. (იხ. სხვებთან ერთად, *Tolstoy Miloslavsky c. Royaume-Uni*, arrêt du 13 juillet 1995, série A n° 316-B, p. 83, § 77 ; *Malama c. Grèce (satisfaction équitable)*, n° 43622/98, § 17, 18 avril 2002).

49. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წ. 12 ოქტომბრამდე მომჩივანი თავად იცავდა თავს, ხოლო ამ თარიღის შემდგომ პერიოდში მას სამართლებრივი დახმარება გაეწია ევროპის საბჭოს მხრიდან ბ-ნი გაბოძის მისი წარმომადგენლად დანიშვნის სახით. ამ წარმომადგენლობაში იგულისხმება ბ-ნი გაბოძის მიერ საქმის მომზადება და ახსნა-განმარტების შედგენა სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული პროცედურის ჩარჩოებში, არავითარი დამატებითი შენიშვნა საქმის არსთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ ყოფილა (§7).

ბ-ნი გაბოძის მიერ განმცხადებლის ინტერესების დასაცავად შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით, სასამართლო, რომელიც არ არის დამოკიდებული საჰონორარო სკალასა და სახელმწიფოს შიდა პრაქტიკაზე, თვლის, რომ განმცხადებლისთვის სასამართლო დახმარების ჩარჩოებში მიკუთვნებული თანხა (515 ევრო) შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თანხა, რომელიც სრულად ფარავს ამ წარმომადგენლობით გამოწვეულ ხარჯებსა და დანახარჯებს

50. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ 2004 წ. 12 ოქტომბრამდე გაწეულ ხარჯებს, სასამართლოსთვის წარდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ რეალურად დასაბუთებული იქნა მხოლოდ 300 ევრო (§46). შესაბამისად, დებულება რა გადაწყვეტილებას სამართლიანობის პრინციპის დაცვით, სასამართლო აკუთვნებს მომჩივანს 300 ევროს, ასევე გადასახადის სახით კუთვნილ თანხებს.

გ. საურავი

51. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო, ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;

2. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვეში, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მომჩივანს ქართულ ღარებში გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით უნდა გადაუხადოს:

ი. 3.500 ევრო (სამი ათას ხუთასი ევრო) მთლიანობაში მიყენებული ზიანისათვის, ასევე გადასახადის სახით კუთვნილი ნებისმიერი თანხა;

იი. 300 ევრო (სამასი ევრო) სასამართლო ხარჯებისა და დანახარჯებისათვის, ასევე გადასახადის სახით კუთვნილი ნებისმიერი თანხა;

ბ. რომ აღნიშნული ვადის გასვლიდან გადახდის მომენტამდე, ეს თანხა გაიზრდება უბრალო პროცენტებით, რომლის განაკვეთიც ტოლი იქნება ევროპის ცენტრალური ბანკიდან მაქსიმალურ სესხზე არსებული შეღავათის იმ პერიოდში მოქმედი განაკვეთისა; ასევე გაიზრდება საპროცენტო განაკვეთი სამი პუნქტით;

3. არ აკმაყოფილებს დანარჩენ ნაწილში სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნას.

შედგენილია ფრანგულად, და რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების თანახმად გაგზავნილია წერილობით 2006 წ. 7 მარტს.

ს. დოლე
სექციის განმწესრიგებელი

ე.პ. კოსტა
თავმჯდომარე